

შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“

ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021 წელი

ქ.თბილისი
2022

შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	6
შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
შენიშვნა 4. ხარჯები და სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	11
შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	11
შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები	12
შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები	12
შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები	12
შენიშვნა 9. მარაგი	13
შენიშვნა 10. საბანკო სესხები	13
შენიშვნა 11. მოკლევადიანი ვალდებულებები.....	13
შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი	13
შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები.....	14
შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია.....	14

შპს „ჩიჭუბის სამედიცინო ცენტრი მზერა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ექვივალენტები	8	229,507	162,479	305,276
სავაჭრო მოთხოვნები		1,207,673	735,237	1,292,969
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული სახსრები				
მარაგები	9	259,510	160,766	245,841
მზა პროდუქცია				
სხვა				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		28,164	1,532	19,200
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,724,854	1,060,014	1,863,486
ბიოლოგიური აქტივები				
თვითღირებულების მოდელით				
გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივი	7	4,840	6,050	6,848
ძირითადი საშუალებები	6	6,060,879	6,446,294	6,689,177
ინვესტიციები შეიღობილ საწარმოებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		7,790,573	7,512,358	8,559,511
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	11	492,678	411,779	1,592,293
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	1,229,142	963,602	1,090,820
საგადასახადო ვალდებულებები	11	58,954	12,501	44,938
გამოუმუშავებული შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	10	241,481	234,090	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,990		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,024,245	1,621,972	2,728,051
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	2,049,673	3,254,535	2,999,461
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		4,073,918	4,876,507	5,727,512
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“)	12		6,000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12	2,959,074	1,872,270	2,074,418
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	12	757,581	757,581	757,581
საკუთარი კაპიტალი		3,716,655	2,635,851	2,831,999
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,790,573	7,512,358	8,559,511

ხელმძღვანელობის სახელით:

ალექსანდრე ჩიჭუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული მფარველები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებას განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჩიკუბის სამედიცინო ცენტრი მზერა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები

	2021 წ.	2020 წ.
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	7,082,777	5,275,560
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	6,931,842	5,275,560
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	76,435	
საწყისი მარაგები	(1,153,541)	(965,188)
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება		
სხვა შემოსავალი	5,854,736	4,310,377
დასაქმებულთა ანაზღაურება		-
ცვტა და ამორტიზაცია	(3,742,659)	(3,375,428)
საპროცენტო შემოსავალი:	(291,086)	(297,901)
საპროცენტო ხარჯი :	-	-
იჯარის ხარჯი	(199,598)	(241,911)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,966)	(600)
სულ საოპერაციო ხარჯები	(511,783)	(366,838)
საოპერაციო მოგება (შენიშვნა 4)	(4,747,092)	(4 282,678)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	1,107,644	27,699
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	-
მიღებული დივიდენდები (შენიშვნა 5)	(15,280)	(231,935)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან (შენიშვნა 4)	(3,527)	51,623
მოგების გადასახადი	1,088,837	(152,613)
მოგება/(ზარალი)	-	(7,430)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	1,088,837	(160,043)
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	-
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,088,837	(160,043)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	2,635,851	2,831,999
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(2,033)	(42,105)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(6,000)	6,000
	3,716,655	2,635,851

ხელმძღვანელობის სახელით:

ალექსანდრე ჩიჩუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული მენიშნები ჩართადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წ.	2020 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,229,282	(541,836)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	43,250	(54,210)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,205,504)	453,059
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	67,028	(142,987)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	162,479	305,476
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	229,507	162,489

ხელმძღვანელობის სახელით:

ალექსანდრე ჩიჭუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2002 წლის 10 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში. წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქ. #9.
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევა.
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ჩიჩუა, საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე. თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

ხელმძღვანელობის / სახელმძღვანელო:

ალექსანდრე ჩიჩუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ ზარალში.

ხელმძღვანელის სახელით:

ალექსანდრე ჩიჩუა
დირექტორი

2022 წლის 01 თებერვალი

თანდართული მტკიცებულება წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

მარაგების თვითღირებულება - შემენასთან დაკავშირებული დანახარჯები, აგრეთვე ის დანახარჯები, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანო კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შემენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

• შენობა-ნაგებობები	80 წელი
• მანქანა-დანადგარები და სამედიცინო აპარატურა	20 წელი
• კომპიუტერები და კომპიუტერული ტექნიკა	10 წელი
• ოფისის აღჭურვილობა	15 წელი
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	15 წელი
• კავშირგაბმულობის საშუალებები	15 წელი
• სპეციალური ინსტრუმენტები	15 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	20 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შემენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 5 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა

ხელმძღვანელის სახელით:

ალექსანდრე ჩიჭუბაძე
დირექტორი

2022 წლის 01 აპრილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაწილდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ხელმძღვანელის სახელით:

ალექსანდრე ჩიჩუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა: კომერციული ბანკები, ლომბარდები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. „ესტონური“, მოდელი). ახალი მოდელით განისაზღვრა კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპები. ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). მოგების გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, კომპანიის მიერ აისახება „სხვა არასაოპერაციო ხარჯებში“ და არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს - „მოგების გადასახადი“. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ხელმძღვანელობის „სახელით“

ალექსანდრე ჩიჩუა
დირექტორი

2022 წლის 01 თებერვალი

თანდართულ შენიშვნებში წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	3,742,659	3,375,428
ცვთა და ამორტიზაცია	291,086	297,901
საპროცენტო ხარჯი	199,598	241,911
საიჯარო ქირა	1,966	600
რეკლამის ხარჯები	57,977	51,987
რემონტის ხარჯი	-	11,863
მივლინების ხარჯები	9,965	5,865
ქონების გადასახადი	3,678	-
დაზღვევის ხარჯები	8,865	8,280
ავტომანქანის ხარჯი	52,289	-
კომუნალური ხარჯები	134,791	83,591
სამეურნეო ხარჯი	33,541	-
სამედიცინო მომსახურება	98,314	-
ბანკის მომსახურება	17,388	3,824
კომუნიკაციის ხარჯები	22,856	18,931
საწვავის ხარჯი	14,387	10,729
საქველმოქმედო ხარჯები	-	1,276
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	14,417
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები	30,087	22,985
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	27,645	133,090
სულ	(4,747,092)	(4,282,678)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
სხვა ფინანსური შემოსავალი	-	4,146
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	52,489
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(3,527)	(5,012)
სულ	(3,527)	51,623

შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2021	31.12.2020
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	-	72,142
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(15,280)	(304,077)
სულ	(15,280)	(231,935)

ხელმძღვანელობის სახელით:



Handwritten signature of Alexander Chikua

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ჩიჭუბის სამედიცინო ცენტრი მზერა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2021	2,775,511	3,151,981	114,578	257,866	146,358	6,446,294
შემოსვლა	-	34,947	14,697	2,240	-	51,884
გასვლა	-	(85,343)				
პერიოდის ცვთა	(34,388)	(197,480)	(21,900)	(30,205)	(62,080)	(147,423)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	2,741,123	2,904,105	107,375	229,901	78,375	6,060,879

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2021	6,050
შემოსვლა	-
პერიოდის ცვთა	(1,210)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	4,840

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,950	53,749
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	192,256	100,712
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	33,301	8,018
	229,507	162,479

ხელმძღვანელობის სახელით:

ალექსანდრე ჩიჭუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 9. მარაგი

	31.12.2021	31.12.2020
საქონელი		
სხვა	256,739	158,589
სულ	2,771	2,177
	259,510	160,766

შენიშვნა 10. საბანკო სესხები

კომპანიის მიერ, სს თიბისი ბანკისაგან 2018 წლის 15 თებერვალს და 2019 წლის 24 სექტემბერს ძირითადი საშუალებების შესაძენად და ოფისის რემონტისთვის აღებული იქნა უზრუნველყოფილი ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხები (ევროში) და (აშშ დოლარში). წლიური საპროცენტო განაკვეთებია: 4,3% (ევრო) და 7% (აშშ დოლარი). სესხების დაფარვის თარიღებია: 2023 წლის 15 თებერვალი და 2024 წლის 26 იანვარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ბანკის სესხის მონაცემები:

	31.12.2021	31.12.2020
გადახდილი თანხა	1,206,641	1,069,092

ბანკის საპროცენტო ხარჯი იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად აღიარდება საბაზრო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 11. მოკლევადიანი ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	492,678	411,779
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1,229,142	963,602
საგადასახადო ვალდებულებები	58,954	12,501
მოკლევადიანი სესხები	241,481	234,090
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,990	-
სულ	2,024,245	1,621,972

საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	55,276	5,071
მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	-	7,430
ქონების გადასახადი	3,678	-
	58,954	12,501

ხელმძღვანელების (სახელით):

ალექსანდრე ჩიჭუა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი - 6,000 ლარი).

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2020	-	2,074,418	757,581	2,831,999
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	6,000	-		6,000
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(160,043)		(160,043)
გადახდილი დივიდენდი	-	(42,105)	-	(42,105)
ნაშთი 31.12.2020	6,000	1,872,270	757,581	2,635,851
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(6,000)	-		(6,000)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	1,088,837		1,088,837
გადახდილი დივიდენდი	-	(2,033)	-	(2,033)
ნაშთი 31.12.2021	-	2,959,074	757,581	3,716,655

შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები

ტრანზაქციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებთან:

	31.12.2021	31.12.2020
ანაზღაურების მთლიანი თანხა	-	285,147

ხელმძღვანელების სახელბათ

ალექსანდრე ჩიჭუა
დირექტორი

2022 წლის 01 თებერვალი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებულ ნაწილს.

შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 01 ოქტომბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ალექსანდრე ჩიჩუბა
დირექტორი

2022 წლის 01 ოქტომბერი

თანდართული შენიშვნებში წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გასული წლის.